სახალხო გაზეთი

პარასკევი, 7 მაისი. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა 1910 წელი—№ 1.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული
სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12, Семену Пашалишвили.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ფინლიანდიის შესახებ კანონ-პროექტი საინტერესო ფაზისს განიცდის სახელმწიფო სათათბიროში. მემარჯვენენი, ნაციონალისტები და ოქტომბრისტები ცდილობენ საშინელი სისწრაფით განიხილონ თვით სათათბიროს საერთო კრებაზე. ეს სისწრაფე კომისიაში იქამდის მივიდა, რომ ოპოზიციის წარმომადგენელთ (მილიუკოვს, ბობიანსკის და გეგეჭკორს), რომელთაც ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს ფინლიანდიის საკითხის შესახებ, კომისიის უმრავლესობის წარმომადგენლებმა პასუხიც არ გასცეს: არ სცნეს საჭიროდ თავისი აზრის დასაბუთება. თქვენი სიტყვები ვერაფერში ვერ დაგვარწმუნებენ, ტყუილად იხარჯებით, ჩვენ მაინც ჩვენსას ვქმთო, გამოდიოდა მემარჯვენეთა და ოქტომბრისტების საქციელიდან. სწორედ ასე გაიგეს ეს საქციელი თვითონ ოპოზიციის წარმომადგენლებმაც. ჯერ გეგეჭკორიმ და შემდეგ მილიუკოვმა გამოვიდნენ კომისიიდან და განაცხადეს, რომ მათ სრულიადაც არა სურთ მონაწილეობა მიიღონ ისეთ კომისიაში, სადაც ადგილი არა აქვს მსჯელობას და აზრთა შეჯახებას და სადაც ყოველივე წინდაწინვე გადაწყვეტილია. ამის შემდეგ კომისიამ კიდევ უფრო დააჩქარა თავისი საქმეები და იმედი აქვს სულ მოკლე ხანში გადასცემს კანონ-პროექტს სათათბიროს.

ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თუ რით აიხსნება ასეთი ქცევა სათათბიროს უმრავლესობისა, რომელიც ცხადია მთავრობის სურვილს ასრულებს. ფიქრობენ მხოლოდ, რომ მთავრობას სურს თავიდან მოიცილოს ეს სახიფათო საკითხი და ასე თუ ისე მოუღოს ბოლო მას. ყველამ კარგათ იცის, რომ მთავრობის და სათათბიროს უმრავლესობის ქცევამ ფინლანდიის შესახებ პროტესტი გამოიწვია არა თუ მარტო ფინლანდიელებისა და მათი სეიმისა, არამედ ევროპიელებისაც. ჯერ იყო და სხვა და სხვა ქვეყნის მეცნიერ-პროფესორებმა ამოიღეს ხმა და პროტესტი გამოსთქვეს ასეთი ქცევის შესახებ, შემდეგ კი ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა პარლამენტებმაც გამოსთქვეს თავისი აზრი ფინლიანდიის უფლების დარღვევის შესახებ. რაც დრო გადის ევროპის საზოგადო აზრი უფრო და უფრო შფოთდება, ღელვება მატულობს და სათათბიროს უმრავლესობასაც ჰგონია, რომ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა ბოლოს მოუღებს ამ ღელვებას და საქმეს გაათავებს. თუ ასეთი აზრი სათათბიროს უმრავლესობის ქცევის შესახებ მართალია, ცხადია, რომ იგი შეცდომაში შედის. ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ფინლანდიელები მედგარ პროტესტს განაცხადებენ და ნაცვლად იმ სიმშვიდისა, რომელსაც ყოველთვის ადგილი ჰქონდა ფინლიანდიაში, შესაძლებელია კონსტიტუციის ძალით დარღვევას უფრო სერიოზული შედეგი და ღელვება მოჰყვეს, ვიდრე ეს აქამდის იყო.

სახელმწიფო სათათბირო

5 მაისის სხდომა.

თავჯდომარეობდა თავ. ვოლკონსკი. ბობრინსკი პირველმა განაცხადა, რომ ფოსტით მივიღე „პეტიცია რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსადმი" ინგლისელ და ირლანდიელ დეპუტატების მიერ ხელ მოწერილი. ამ პეტიციაში სურვილია გამოთქმული ფინლიანდიის საკითხის სასურველად გადაწყვეტის შესახებ. სურვილები მეტად თავაზიანი კილოთია გამოთქმული. ავტორები აცხადებენ, ჩვენ აზრად არა გვაქვს ჩავერიოთ რუსეთის შინაურ საქმეებშიო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამ პეტიციის გამოგზავნა მეტად შეურაწყოფს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობს. ჩვენ უნდა უპასუხოთ იმათ, დაგვანებეთ თავი, ეროვნული თავმოყვარეობა ჩვენცა გვაქვს, ეს თავმოყვარეობა მარტო ინგლისელების ხვედრი არ არის.

ამის შემდეგ სათათბირომ განაგრძო ნორმალურ დასვენების შესახებ კანონპროექტის განხილვა. პროექტის მეთორმეტე მუხლი შეეხება იმ სავაჭრო დაწესებულებებს, რომელთა აკრძალვა არ შეიძლება სავალდებულო დადგენილებათა ძალით. სათათბირომ მიიღო ტიზენგაუზენისა და კოვალენკოს შესწორება, რომელთაც—საწვრიმლო, სანოვაგისა და საბუღლე—საკანდიტროს ვაჭრობას არ უკრძალავს, თუ სავალდებულო დადგენილებით მათ ნება ექნებათ ივაჭრონ. ამ სავაჭროებში ვაჭრობამ ხუთ სათზე მეტი არ უნდა გასტანოს. სოც.-დემ. შეიტანეს წინადადება, რომ სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს მიენიჭოთ უფლება წელიწადში ერთი თვის თავისუფლება. კადეტებმა შეიტანეს წინადადება, რომ აღდგომის მესამე დღეს სანოვაგის მაღაზიებში ვაჭრობა სწარმოებდეს. მინისტრის ამხანაგმა მილლერმა არსებითად არ გასცა პასუხი წინადადების შემტანთ. მან განაცხადა, რომ ეს წინადადება შეეხება სხვა კანონ-პროექტებს, რომელთაც სათათბირო ახლო მომავალში განიხილავსო. ნიკოლსკიმ, პრედკალნმა, პეტროვ მესამემ, ეგოროვმა და გეგეჭკორმა მოითხოვეს, რომ მათი წინადადება ერთი თვის დასვენებისა და სხვა შეტანილ იქმნას ამ კანონ-პროექტში. რადგან ფორმალური საბუთები ამას არ ეწინააღმდეგებიანო მარკოვ მეორე წინააღმდეგი იყო ორატორების წინადადებისა. რუსეთში საკმაოდ ბევრი უქმე დღეებია და არ შეიძლება ვაიძულოთ ვაჭრებს ერთი თვის თავისუფლება მიანიჭონ ნოქრებსაო.

განსახილველი იყო მე-13 მუხლი, რომელიც უწლოვან მუშებს (17 წლამდე) უფლებას ანიჭებს სამი საათის თავისუფლება ჰქონდეთ კურსებსა და სკოლებში სასიარულოთ.

ბარონმა ტიზენგაუზენმა შენიშვნა შეიტანა და ექვსი საათით განსაზღვრა კურსზე სიარული უწლოვანო მუშების. პეტროვ მესამემ დაიცვა ტრუდოვიკების წინადადება, რომელიც ამბობს, რომ უწლოვანმა მუშებმა (18 წლამდე) ექვს საათზე მეტი არ იმუშაონ და ამასთან სავალდებულო იყოს დილით სამი საათის თავისუფლება ჰქონდეთ სასწავლებლებში წასასვლელად. სხდომის განახლების შემდეგ თავმჯდომარეობდა გუჩკოვი. საფონოვმა და კარიაკინმა განაცხადეს, რომ შეუძლებელია მე-13 მუხლის ასრულება, რადგან საკმაო რიცხვი სკოლებისა არ მოიპოვებაო. კოვალევსკიმ საჭიროდ სცნო, კანონში ყოფილიყო აღნიშნული, რომ უწლოვანმა მუშებმა აუცილებლად იარონ სკოლებში, მხოლოდ იმათთვის განსაკუთრებული სკოლებია საჭირო, სხვა ტიპისა, რადგან არსებული სკოლები მათთვის გამოუსადეგარია. ორატორმა მოითხოვა ეხლავე იქნას განხილული სოც. დემ. წინადადება და ეხლავე გადაწყდეს საკითხი უწლოვანთა შრომის აკრძალვა. სათათბირომ მიიღო კოვალევსკის ფორმულა მორიგ საქმეებზე გადასასვლელი: ფორმულა ავალებს ვაჭრობის მინისტრს, განიხილოს საკითხი მომუშავეთათვის სკოლების დაარსების შესახებ.

მეთოთხმეტე მუხლი მიიღეს. კამათში მონაწილეობა მიიღეს—კუტლერმა, პეტროვმა მესამემ, პრედკალნიმ. ამ მუხლის ძალით საერობო და საქალაქო თვითმართველობებს უფლება აქვთ თითონ გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი ვაჭრობის დაწყების და გათავების შესახებ. მე-15 მუხლი შეეხება დადგენილების შესამუშავებლად შერეულ კომისიის დაარსებას. ტომაშევიჩმა შეიტანა წინადადება, რომ კომისიაში შედიოდნენ ნოქართა დამხმარე საზოგადოებათაგან არჩეული წარმომადგენელნი და აგრეთვე იმ მოსამსახურეთა წარმომადგენელნი რომელნიც ნოქართა დამხმარე საზოგადოებებში არ შედიან. ეს შესწორება მიღებულია.

მე-16 მუხლი შეეხება კანონის ასრულების თვალყურის დევნას. რამდენიმე ორატორმა განაცხადა, რომ თვალყურის დევნა უნდა დაევალოს ქალაქის თვითმართველობებთა და ადმინისტრაციას, მუხლი მიიღეს კომისიის რედაქციით. მცირე ცვლილებით მიიღეს მე-17 მუხლიც.

მიღებულ იქმნა წინადადება იმის შესახებ, რომ პარასკევს შეუდგნენ განხილვას დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების კანონ-პროექტისა.

საღამოს სხდომაზე 24 აგვისტოს გამოცემულ წესდების შესახებ შუბინსკიმ წარმოსთქვა, არავითარი განხეთქილება არ არის მთავრობისა და თვითმპყრობელს შორის, მხოლოდ სხვა და სხვა აზრია ერთი და იგივე კანონის შესახებაო. რევოლიუციის ტალღებმა კვალი დააჩნიეს ხალხის ცხოვრებას და ანარქიზმად გადაგვარდნენ. მთავრობისათვის საჭირონი არიან მტკიცე ხასიათის ადამიანები, რომელნიც მაგრად მოჰკიდებენ ხელს მართვა-გამგეობის საქმეს და გაუმკლავდებიან ამ მოვლენას. კადეტებს სურთ, რომ მთავრობის ადგილი დაიჭირონ, იმათ, რომელთაც მაკლაკოვი სახელმწიფო საბჭოსკენ მიმავალ ლანდებს უწოდებს. ამაოა მაკლაკოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო უიმედო მდგომარეობაშია. უიმედო მხოლოდ კადეტთა პარტიაა, რადგან იმისი დრო წასულია. პოკროვსკი ტყუილად უსაყვედურებს ოქტომბრისტებს, რომ იმათ მეთაური დაჰკარგეს. თუ ჩვენი მეთაური დღეს სათათბიროს თავმჯდომარის ადგილზეა, ამით გუჩკოვისა და პარტიის კავშირი არ შესუსტდება.

ბალაკლეევმა განაცხადა, მემარჯვენენი შეკითხვის მიღების წინააღმდეგნი არიან, რადგან 24 აგვისტოს წესები საკანონმდებლო აქტია, კანონი კი ხელმწიფის ბრძანებაა და კანონის უარ-ყოფა არა მარტო თავხედობაა უმაღლესი მბრძანებლის წინაშე, არამედ უგუნურებაცაა.

გეგეჭკორიმ შენიშნა, შეკითხვის საგანი იმის გამორკვევა კი არ არის, გვაქვს ჩვენ კონსტიტუცია თუ არა, რადგან ასეთი გამორკვევა უაზროა და დღევანდელ მდგომარეობას არ შესცვლის. შეკითხვის საგანი იყო ეჩვენებინა ხალხისათვის, რომ მთავრობის თვალში კანონი—ცარიელი სიტყვაა. ამ მხრივ მიზანი მიღწეულია. ეფრემოვმა განაცხადა, პროგრესისტები მიიღებენ შეკითხვას, რადგან 24 აგვისტოს წესებს სათათბიროს უფლებათა დარღვევად სთვლიან. კენჭისყრით (161 მემარჯვენეთა და ცენტრის ხმა წინააღმდეგ ოპოზიის 100-სა) შეკითხვა უარ-ყოფილ იქმნა.

დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან.

6 მაისი.

აჯანყება ალბანეთში

სალონიკი. ჯარის ორმა ბატალიონმა, რომელიც მიტროვიცაში გაიგზავნა, ფერიზავიჩში მისვლის შემდეგ უარი განაცხადა შუაგულ ალბანიაში წასვლაზე, ძმათა სისხლის საღვრელად არ წავალთო. ალბანელთა რაზმები მთებს შეეფარნენ. მათ წინააღმდეგ უსკიუბიდან გაიგზავნა ორი ბატალიონი. ამბობენ, რომ სამხედრო მინისტრის, შევკეთ-ფაშას მოლაპარაკებამ ალბანელების მეთაურებთან ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან ალბანელებმა უარი განაცხადეს იარაღის დაყრაზე. ბრძოლა ჯერ-ჯერობით შესწყდა. ამ ბოლო დროს ალბანელები მრავლად თავს იყრიან ზემო მორავიაში. მაჰმუდ შევკეთ-ფაშა თხოულობს 50,000 ლირს რკინის გზის შესაკეთებლად. ევმიეში ქვემო დიბრიდან მოვიდა 2,000 ალბანელი. ხმები დადის, რომ დრენიცაზე გალაშქრება დაიწყებაო.

სპარსეთი

კელნი. „კელნიშე-ცეიტუნგ"-ში ვრცელი წერილია მოთავსებული რუსულ გაზეთების განსაკუთრებით „ნოვოე ვრემია"-ს წინააღმდეგ. გაზეთი უარ ჰყოფს იმ აზრს, ვითომ გერმანია იყოს საერთა-შორისო მშვიდობიანობის დამრღვევი. გაზეთი აგრეთვე უარ-ჰყოფს, რომ არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა გერმანიის ხაზინასა და სპარსეთს შორის სესხის შესახებ. დასასრულ გაზეთი შენიშნავს, რომ გერმანიას სპარსეთში არავითარი პოლიტიკური მიზანი არ აქვსო.

ურმია. პური საგრძნობლად გაძვირდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯებელის საბაჟოს გაუქმების შემდეგ ქურთებმა სულდუზსთან მიმოსვლა გააძნელეს. ამას გარდა ოსმალეთის ჯარის საჭიროებისათვის ჩრდილოეთ ქურთისტანში დიდ-ძალი პური გაიტანეს. და ურმიის ზღვაზე პურის გადასატანად ნავების რიცხვი საკმაო არ არის.

თავრიზი. ადგილობრივი მთავრობა უარს ამბობს საჭირო დოკუმენტების წარდგენაზე სავაჭრო და სხვა საოჯახო პირობების დადების დროს, რაც ძლიერ ხელს უშლის თურქმენჩაინის ხელშეკრულების დაცვას.

თავრიზი. ხოიდან მიღებულ ცნობებით სალმასის და ხოის ოლქებში პატარ-პატარა ჯგუფებად გაფანტულია ოსმალეთის 500 ჯარის კაცამდე. თვით ხოიში 34 ქვეითა ჯარის კაცი სდგას თავის აფიცრით. რარაჟადაგში რახიმ-ხანის ხელობას ხელი მიჰყო ქერიმ-ხან რეშტუდ-დოულემ, რომელიც სცარცვას სოფლელებს. ადგილობრივი მთავრობა ქერიმ ხანს ხელს უწყობს.

თავრიზი. ბიტლისის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ტახირ-ფაშა. ახალი გენერალ-გუბერნატორი ორი წლის წინად სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრის გამომრკვეველ კომისიაში მუშაობდა. ტახირ-ფაშა ბიტლიაში წასვლის დროს გზა და გზა დაათვალიერებს: ხოის, სალმას, ურმიას და თავრიზს.

ტარნოვსკაიას საქმე.

ვენეცია. სასამართლოს საღამოს სხდომაზე პერიის დამცველმა აკკაკიამ უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა. კამათი შეწყდა. თავმჯდომარემ წაიკითხა სია იმ საკითხებისა, რომელნიც ნაფიც-მსაჯულთ გადაეცემათ. ვექილი ვეკინი დაჟინებით ამტკიცებდა თავის სიტყვაში, რომ პრილიუკოვს, როგორც კაცს და ვექილს, ძლიერი გავლენა ჰქონდა დამნაშავე ტარნოვსკაიაზე; ტარნოვსკაიამ თავის სისუსტის გამო ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევაო. საღამოს სხდომაზე ტარნოვსკაიას დამცველმა ვეკკინიმ განაგრძო თავისი სიტყვა და შეეცადა იმის დამტკიცებას, რომ ბოროტ-მოქმედების ინიციატორი პრილუკოვია და არა ტარნოვსკაია, რომელიც არც ისეთი ცუდი ყოფა-ქცევის ქალია, როგორც ჰგონიათო.

საზღვარ-გარედ.

კარდიფი. სავაჭრო პალატამ გარეშე საქმეთა მინისტრს გრეის შეატყობინა, თუ ფინლიანდიის ლოცმანთა უწყება რუსეთის ცენტრალურ დაწესებულებას გადაეცა, მაშინ ფინლიანდიის წყლებში მიმოსვლა შეფერხდებაო.

ბუდაპეშტი. რუსეთის საკონსულოს იურისკონსულტი დუზან პეტროვიჩი ავტომობილის ქვეშ მოჰყვა და ძლიერ დაშავდა.

კანტონი. (ოგაიოს შტატი). ქესტის ქარხანაში აფეთქება მოხდა. მოკვდა ოცი, დაშავდა 200 მუშა.

ხარბინი. გაზეთ „იუანდუნბაო"-ს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: მანჯურიაში მიწების შესასყიდლათ და მატყლის ვაჭრობის ხელში ჩასაგდებათ, ჩინელების ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს ბანკი დაარსოს. მთავრობიდან დახმარებას ელიან.

ჰაერში ფრენა

მოსკოვი. ექვსჯერ გაფრინდა ავიატორი უტოჩკინი, მათ შორის ორჯერ მგზავრით.

ოდესსა. აღარ მოხდა ჰაეროპლანების გაჯიბრება. მიზეზი ისაა, რომ ძალიან ცოტა ბილეთები გაიყიდა. ჰაეროპლანების გაჯიბრების მომწყობთ დიდი ზარალი მოუვიდათ.

რუსეთი

გროდნო. გარდაიცვალა პოლონეთის მწერალი ქალი ელიზა ორჟეშკო,

კიევი. ხოლერით ავად გახდა და გარდაიცვალა ერთი კაცი.

კალუგა. გამოირკვა, რომ პოლკოვნიკი პოდკორეცკი უცნობებს ძილის დროს ცულით მოუკლავთ. მიზეზი მკვლელობისა—გაცარცვაა. მკვლელებს პოდგორეცკის მოსამსახურე სამზარეულოში ჩაემწყვდიათ.

პეტერბურგი. ოლქის სასამართლომ გაარჩია სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის გუჩკოვისა და გრაფ უვაროვის საქმე. ბრალდებოდათ დუელში გასვლა. გუჩკოვს იცავდა სათათბიროს დეპუტატი შუბინსკი, უვაროვს დამცველი არ ჰყოლია. სასამართლომ ორივენი დამნაშავედ იცნო. გუჩკოვს გადაუწყვიტა ოთხი კვირით ციხე, ხოლო უვაროვს ორი კვირით ჰაუპტვახტზე დატუსაღება.

ვარშავა. სენ. ნეიდგარტმა სამსახურიდან გადააყენა და სამართალში მისცა ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურენი გლუმენსკი და კოკარი. მიზეზი ისაა, რომ სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედება ჩაედინათ. სამართალშივე მიცემულია სამართველოს ყოფილი მოსამსახურე პროკოპოვიჩი.

ალექსანდროვსკი. 94 კიევლი მუშა მდინარე დნეპრზე ნავით გზაურობდნენ. პუდილოს ახლო ვე წყალ-ქვეშ დამალულ ქვას ჯახა. დაიღუპა 27 კაცი.

პრემენჩუგი. ხარკოვის მართლო პალატა შე ლიავსკის გლეხთა კ გარჩევას. სამართალ 29 კაცი. მოწმედ გა კაცი. საქმის გარ დღეს გაგრძელდება.

პეტერბურგი. სამ ლატამ გაარჩია გიმნაზი ბლის ზავადსკი-კრასნოპოლ ქმე. რამდენიმე ხნის წინად თებში დაიბეჭდა ზავადსკის წერილი, იაპონურ ენაზე გამოცემული ლექსიკონი ყალბად არის შედგენილი.

შაბათს, 8 მაისს,

ნინო დიმიტრის ასულის გუდიევის

გარდაცვალების წლის თავზე, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში წირვის შემდეგ, გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე **გიორგი ივანეს ძე გუდიევი** და მშობლები **დიმიტრი ზაქარიას ძე** და **მარიამ მიხეილის ასული საყვარელიძენი**. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. (1—100—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 8 მაისს, 1910 წ. **გრიგოლ რობაქიძე** გამართავს

ლიტერატურულ საღამოს,

სადაც ყოველი მონაწილე თავის ნაწარმოებს წაიკითხავს.

ბელეტრისტულ ესკიზებს წაიკითხავენ: ადამაშვილი, არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, ილ. ელეფთერიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლევ. მეტრეველი და ვ. ყიფიანი.

ლექსებს წაიკითხავენ: ვაჟა-ფშაველა, ახოსპირელი, გრიშაშვილი, მაყაშვილი და შანშიაშვილი.

კრიტიკულ ეტიუდებს წაიკითხავენ: კიტა აბაშიძე (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვეფხის ტყაოსანი როგორც სიმბოლო“), ივ. გომართელი (წაიკითხავს ამ თემაზე: „ვახტანგ ორბელიანის პოეზია“) და გრ. რობაქიძე (წაიკითხავს ნაწყვეტს ლექციიდან: „რუსთაველის შემოქმედება“).

დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ბილეთები ეხლავ იყიდება თეატრის კასსაში. (6—5)

ქართული თეატრი

კვირას 16 მაისს გაიმართება

კონცერტი
კ. ფოცხვერაშვილისა

შესრულებულ იქნება: 1) ქართული ეროვნული სიმღერები ხოროსა და ორკესტრისათვის შემუშავებული კ. ფოცხვერაშვილის მიერ. 2) ბრძოლა ამირანისა ბაყბაყ დევთან“ სიმფონიური ცოცხალ სურათებიანი ესკიზი მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა. 3) „აშენდა საქართველო“ სცენები ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდგან კ. ფოცხვერაშვილისა. წარმოდგენის დაწყების წინ ორკესტრი შეასრულებს დავლურსა და ლეკურს ბალანჩივაძის ოპერიდან. (თამარ ცბიერი) მეორე ანტრაქტში შესრულებულ იქნება ქართული მარში იპოლიტოვ-ივანოვის სიუიტიდან „ივერია“ სიმფონიური ესკიზის ცოცხალს სურათებს დასდგამს მხატვარი ვ. ზომმერი.

ხოროში მონაწილეობას იღებს 100 ქალი და კაცი. ორკესტრში 40 კაცი.

(4—უ.—2) ლოტბარი **კ. ფოცხვერაშვილი**

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაძოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—170)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გამყამაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—334)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარ სახლი. (75—კვ.—63)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—117)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—176)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი კბილისა ქუთაისში ა. ა. გუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—37

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—57)

ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ბებია ქალი სოფიო ილიას ასული გელხორდტ-ლოკიში

რომელიც მუშაობდა მიუნხენის სამეფო დედათა პოლიკლინიკუმში დაბრუნდა ტფილისში და ხელახლა შეუდგა ავადმყოფთა მიღებას. დიდი განქის ქ., N 4, სახლი მალაევისა, სამხედრო ექიმების სამკურნალოს პირდაპირ. (12—205—14)

ექიმი ბავშვებისა ქუთაისში გ ა დ რ ი ძ ე

1 მაისიდან გადადის საკუთარ სახლში გენერლის ქუჩაზე ავადმყოფ ბავშვების გასინჯვა და აცრა. 9—12 და 5—7 ს. 25—ნ.—12

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი ქუთაისში კ თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—35

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—428)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—85)

ახალი დასურათებული საყმაწვილო წიგნი
„ცხოველების გამჭრიახობა“

შედგენილი ან. წერეთლის მიერ.

ფ ა ს ი 25 კ.

და მარკ ტვენის თხზულება მრავალი — სურათით —

„ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი“

ფ ა ს ი 60 კ.

იყიდება „ჯეჯილი“-ს რედაქციაში და წიგნის მაღაზიებში.

ვინც ათზე მეტს იყიდის, დაეკლება 20%. (6—7)

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისათვის

განცხადების მომკრეფი აგენტი

მ. ა. გაყონია

იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.

ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:

(0—11) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—14)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად **საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის)· 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული აჩრდილები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

სამეურნეო ჟურნალი

მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეებს **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

ამხ. „სორაპანის“ გამოცემა

უკანასკნელი ვადა

გიუი-დე მოპასანის

თხზულებაზე

ხელის მოწერისა არის

10 მ ა ი ს ი.

(უ. 6—3)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., შებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ცთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—95)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

შემთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.

ყოველ დღე სიკვდილი...

(ნოველა).

(დასასრული იხ. N 98).

მიმოიფანტნენ უგზო-უკვლოდ შავი ღრუბლები; ნისლიც კი აღარა სჩანდა არც ერთ მხარეზე.

ცა იქცა თვალ-უწვდენ, მოკრიალებულ ზურმუხტად და ამ ზურმუხზე თავისუფლად მოსრიალებდა პირბადრი მთვარე.

ოჰ, რა მადლიანად დაჰყურებდა იგი ქვეყანას! არ გაუშვია არც ერთი მხარე, არც ერთი კუთხე, სადაც წყნარად და ლაქუცით არ დახედოს თავის მკრთალი შუქით და ბნელი ღამეც დაემსგავსა გაბადრულ მთვარეს, მის ფერად იქცა.

დიდ-ხანს, დიდ-ხანს იწვა დევნილი მიწაზე პირქვე.

დიდ-ხანს დასჩერებოდა მოწყენით მთვარე მინდორში შთენილს, პირქვე დამხობილს და ბოლოს იცნო, იცნო დევნილი.

მოეზრდა დევნილსაც თავისი კვნემიწის სიჩუმე. წამოდგა ზეზე, ხედა ზეცას და მთვარემ კი მხიარულად შეანათა მის მჭმუნვარე სა- [illegible]

[illegible] მთვარევ, შვების ცისკაველირსე შენს ნახვას! [illegible] შესძახა დევნილმა. [illegible] თავისუფლად მისრია- [illegible] იმები, ისე მხიარულად [illegible] რომ უეჭველად გინდა მახარო! მახარე, გამახა- [illegible] ნულარე მტანჯავ სიჩუ- [illegible] თ...

მთვარე.

— [illegible] ვერაფერს გეტყვი, ვერაფერს, საბრალო დევნილო, სამშობლოს კვნესით გულ-დაკოდილო!..

დევნილი.

— მაშ შენც გინდა მხოლოდ სიკვდილზე მებაასო, სალრჩობელაზე?

მთვარე.

— სიკვდილზე, მხოლოდ სიკვდილზე...

დევნილი.

— განა ნიავმა არ მიამბო ყველაფერი შენი სათქმელი? შენა გსურს კვალად გამიმეორო?

მ თ ვ ა რ ე

— არა, დევნილო! ნიავი ვერ გეტყოდა ყველაფერს, რადგან ის, რაც მე ვნახე, ნიავს არ უნახავს. მაშინ იქ მისი ჩამი-ჩუმიც კი არ ისმოდა.

დ ე ვ ნ ი ლ ი

— მაშ მიამბე, მიამბე მთვარევ! მე აღარას გეტყვი, გავჩუმდები და ყურს დაგიგდებ.

მ თ ვ ა რ ე

— ეჰ დევნილო! ვიცი კარგად ვერ დაგიხატავ მას, რაცა ვნახე. მისი ნათელ-ყოფა მხოლოდ მზეს შეუძლიან; მის სიღრმავეში ჩაწდომა მხოლოდ ზღვათ ძალუძთ; მის სიდიადეზე ბაასი მარტოოდენ ცას შეუძლიან, თვალ-უწვდენ ცას. მე კი მხოლოდ სიყვარულზე შემიძლიან სიამით ბაასი, გრძნობით გადმოცემა. და თუ სიკვდილზედ გებაასები, ეს მხოლოდ იმატომ, რომ სიყვარულზე ხშირად უფრო მას ვხედავ; სიყვარულზე მეტად უფრო ის ისწვდება გულში და ჰკვდებიან, სახრჩობელაზე მიდიან ისინი, ვინც მოწოდებულია სიხარულისთვის, სიყვარულისთვის...

მეც უნდა შევეჩვიო ნელ-ნელა სიყვარულის ნაცვლად სიკვდილზე ბაასს, უნდა შევეჩვიო.

— ხუთ ღამეს ღრუბლები არ მშორდებოდენ. ისე მიმალავდენ ქვეყნის სახეს, თითქოს ძვირფასი საიდუმლო იყვეს რამეო. რასა ჰფარავდენ, სიხარულს თუ—მწუხარებას—ეს მე არ ვიცი. მხოლოდ ერთი წუთითაც კი არ დამანახვეს ქვეყნის სახე.

მეექვსე ღამეს კი როგორც იქნა ველირსე თავისუფალ ცის კუთხეს. გამოვცურე თუ არა ღრუბლების წრიდან, სისწრაფით დავხედე ძირს ქვეყანას და პირველადვე შევამჩნიე ისევ სახრჩობელა—ისევ სახრჩობელა!..

ამოიკვნესა მწარედ დევნილმა—მთვარე კი განაგრძობდა:

— იგი იყო შუა ეზოში ამართული. იქვე იყვნენ ჯარის-კაცნი, მოძღვარი, ექიმი და სხვა ყველა როგორც წესია.

სალრჩობელასთან კი იდგა ახალგაზრდა, ტურფა ასული.

ოჰ, რა იყო, დევნილო, მშვენება იმ ასულისა, ვინ ასწერს!

თვით ალვის ხესაც კი შეჰხარბებოდა მის ტანის სისწორე და სინარნარე.

მის ბაგეთ მდუმარეთ, თითქოს, მხოლოდ ლოცვა შეეძლოთ და ტკბილი ამბორი.

მის სახეს მხოლოდ მე თუ ვაკადრებდი შედარებას, სხვა ვერავინ ამ ქვეყანაზე.

მის თვალებში კი დაგუბებულიყვენ უძირო ზღვანი, ოკეანები.

ოჰ, რა ძლიერი იყო, რა სათნო და მხიბლავი მათი შეხედვა! ვერა, მე ვერ ავსწერ მათ. ვიტყვი მხოლოდ, რომ თვით ჯალათსაც კი ჩასწვდა გულში მათი შეხედვა და მოიხიბლა, სულ დასუსტდა იმათის ცქერით.

ერთი ღრმა შეხედვა, ერთი წყნარი შეხედვა კიდევ და ჯალათს უკვე შეუყვარდა ის ტურფა ასული, რომელსაც თავის ხელით უმზადებს სიკვდილს სალრჩობელაზე.

არავისთვის არ უთხოვია არც შენდობა, არც შებრალება.

თავისუფლად მივიდა ალვის ხე სალრჩობელასთან, მშვიდად გასცქეროდენ გარშემო უძირო ზღვანი, არც მეტყველობდენ ბაგენი სალოცავნი.

ჯალათმა მოსდო ყულფი ყელზე, გამოაცალა ფეხ ადგომი, მაგრამ... აებნენ თვალები, აუთრთოლდა გული, აუკანკალდენ ხელები, თოკი გასცდა ხელიდან და გონ-დაკარგული ასული დაეცა მიწაზე.

და შენ გგონია, დევნილო, შეიბრალეს ასული იგი?

— არა!

დაუძახეს მეორე ჯალათს, ახლად ჩამოჰკიდეს სახრჩობელაზე და გამოასალმეს წუთი სოფელს. ცოტახანს შემდეგ უსულოდ ეგდო შავს მიწაზე ტურფა ასული.

მე არ მომნიჭებია ცრემლები, არ მომნიჭებია გული, რომ საუკუნოდ ვიტირო, ვიკვნესო ეგრედ უმანკო მსხვერპლზე.

მაგრამ, თუ მე თვით არ შემიძლიან ტირილი, სხვას მაინც ვატირებ! თუ მე თვით არ შემიძლიან კვნესა, სხვას მაინც ვაკვნესებ!

ქვეყანას მოვსდევ, ყველას ვუამბობ იმ ტურფას სიკვდილს.

შეუმჩნეველ გრძნობად ყველას ჩავუნერგავ გულში მისი გრძნობანი უკანასკნელნი; უხილავ აზრად ყველას ვამცნევ მისი აზრები უკანასკნელნი.

ქვეყნად მოვფინევ მის უხმო კვნესა, სიმშვიდით შებოჭილი მღელვარება.

ყველას, ყველას ვუამბევ მისი მშვენება, ძლიერება, თვალ-წარმტაცობა.

ოჰ, რამდენ ახალგაზრდას შეაყვარე სიკვდილის შემდეგ იგი ასული, რამდენმა შეჰფიცა მის ლამაზ ხსოვნას, რომ მოკვდებიან იმავე გზით, როგორც ის მოკვდა და ამ სიკვდილში ჰპოვებენ იგინი სიყვარულის განცხოველებას..

დევნილი.

· - მითხარი, მთვარევ! უკანასკნელად არ ახსენა იმ ასულმა ვისმეს სახელი?

მთვარე.

— არა, დევნილო!

დევნილი.

— არც გინახავს იმ ტურფაზე რამე ნიშანი?

მთვარე.

— ვნახე, ვნახე!

როცა ექიმმა გაუხსნა მკერდი შესამოწმებლად მე იმის მარზე უცნაური ხალი შევნიშნე ..

დ ე ვ ნ ი ლ ი.

— ხალი!., სატრფო ყოფილა, ჩემი სატრფო იგი ასული...

თავზარი ეცა საწყალ დევნილს ამის სმენაზე, ისევ დაეცა ძირს მიწაზე კვნესით და ტანჯვით და თან ჰფიცავდა, რომ სატრფოსთან მოკვდება იგიც, არ შეურაცხყოფს მის სიყვარულს თავის სიცოცხლით...

დიდ-ხანს, დიდ-ხანს იწვა დევნილი პირქვე. სამშობლოს ამბები კი სხვა და სხვა სახით მიჰქროდნენ თვალწინ:

...ახოვანი, ავადმყოფური ფერმკრთალის სახით და ანთებულის თვალებით იგი იდგა მოაჯირთან, რომლის იქითაც ეყუდა ორი ქალი.

ერთი მოკუზული, შავ მანდილში გახვეული სულა სტიროდა და წამდაუწუმ იწმენდდა ცრემლებს თავშლის ყურით.

მეორე კი არა სტიროდა. თვალები იმას გამშრალი ჰქონდა და ცეცხლივით ღვიოდენ.

ეს იყო მისი დედა.

მისი თვალები არა ჰშორდებოდნენ შვილის სახეს, მაგრამ სიტყვებს კი ვერა ჰპოულობდა მისთვის. ისეთ სიტყვებს, რომლებიც გულში ჩასწვდებოდნენ, მოალბობდნენ, ანუგეშებდნენ, რომლებიც შესაფერი იქნებოდნენ იმ მწუხარ წუთებში.

— მაინც როგორა ხარ?—ეკითხებოდა იგი დაღვრემით,

— როგორ უნდა ვიყვე! ჩამომახრჩობენ ჩქარა.

ხრინწიანად უთხრა შვილმა და შეეცადა გაეცინა, მაგრამ სიცილი არ გამოვიდა; ხმა ყელში შეუწყდა. ისევ დუმილი.

— საშინელ, შემაძრწუნებელ სიზმრებს ჰხედავ!—კიდევ ეკითხება დედა.

— ჰო, ვხედავ ათასნაირს. სთქვა მოწყენით შვილმა...

ჩქარა გააშორეს ერთმანეთს.

შვილი წავიდა თავის საკანში დედა კი „თავისუფლად“ ქვეყანაში. ამობენ იგი გაგიჟდაო.

შვილმა კი ამხანაგებთან სიცილში, ხარხარში დაიდო გულზე დანა, ჩააწვა ერთჯერ, ორჯერ, გადატრიალა შიგ და მშვიდობიანად სთქვა—ჰო, რა კარგია! ეხლა კი კმარა, ამოიღეთ დანა! ეგრე გაათავა სიცოცხლე ჩამოსაღრჩობად გამზადებულმა.

ბევრი, ბევრი სურათი ნახა დევნილმა თავის სამშობლოს ცხოვრებიდან და არ ესმოდა სიზმრები იყვნენ ისინი, ბოდვანი, თუ მთვარის ახალი ნაამბობი. ან იქნებ მზე ამოსულიყო და იგი მოუთხრობდა სამშობლო ქვეყნის ახალ ტანჯვას, ახალ კვნესას?

ერთი კი იცოდა მხოლოდ, რომ ყველა ეს სინამდვილე იყო.

სინამდვილე იყო—ყოველ დღე სიკვდილი მის სამშობლოში სალრჩობელაზე ან მოძმის ტყვიით....

გათენდა. მთვარე მიიმალა. მის მაგიერად მზე ბრწყინვალებდა თავისუფალ ცაზე.

დევნილი კი ბურანში შეპყრობილი ისევ იწვა მიწაზე პირქვე.

ნიავი კი ტალღა-ტალღად გადიოდა მწვანე ბალახზე, დევნილის აწეწილ თმებზე და მიაქროლებდა ნახულ-ნასმენს მთებში, ქვეყნებში, ხსოვნაში, გულში....

ლევან მეტრეველი.

და ამის გამო რუსეთ-იაპონიის ომის დროს რუსეთის ჯარმა დიდი ზარალი ნახა. ეს ლექსიკონი შეადგინა იაპონურ ენის ლექტორმა პურონომმა და პანაევმა. ამათ საჩივარი აღძრეს ზავადსკის წინააღმდეგ. სასამართლომ ზავადსკის შვიდი დღით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

მოსკოვი. გამოირკვა, რომ ხაზინიდან ყალბი საბუთებით 19,900 მანეთი გამოუტანიათ.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **გალეის კომეტა.** 5 მაისს გათენებისას, გალეის კომეტის მოლოდინში, ტფილისში მცხოვრებთა უმრავლესობა უძილოდ დარჩა. ამ დროს ქალაქის მაღლობ ადგილებსა და სახლის ბანებზე მრავალი ხალხი იდგა და გალეის კომეტის ნახვას დიდის ცნობის მოყვარეობით მოელოდა. ცაზე დიდი ღრუბლების გამო კომეტის ნახვის სურვილი ხალხს ვერ აუსრულდა და გათენებისას გულნაკლული დაიშალა.

✦ **გამოფენა.** გუშინ, 6 მაისს ტფილისის სასტატო ინსტიტუტში მოწაფეთა ნაშრომის გამოფენა დაიწყო. გამოფენა რამდენსამე დღეს გასტანს.

✦ **ჩხრეკა.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში დაბა სურამში რამდენიმე პირი გაუჩხრეკიათ.

✦ **სეირნობა.** 5 მაისს სომეხთა განმანათლებელ საზოგადოების „ლუისის“ სასარგებლოდ ტფ. საარტისტო საზოგადოების ბაღში სეირნობა გაიმართა. სეირნობას ხალხი ბლომად დაესწრო.

✦ **ქართველი მაგისტრი.** ნ. რ.-ის სიტყვით, 30 აპრილს მოსკოვის უნივერსიტეტში კ. ბახტაძემ დაიცვა დისერტაცია და მიიღო ფარმაციის მაგისტრის ღირსება.

✦ **საეკლესიო მხატვრობის შესწავლა.** იმავე გაზეთს პეტერბურგიდან სწერენ, რომ მხატვრობის აკადემია ჰგზავნის კავკასიაში მხატვარ-არქეოლოგს და სახალხო უნივერსიტეტის ლექტორს ალექ. ეისნერს. ეისნერი შეისწავლის ძველ ქართულ საეკლესიო მხატვრობას და წაიკითხავს ლექციებს თბილისსა და ქუთაისში. ეისნერი უკვე 1897 წლიდან მუშაობს ამ ასპარეზზე.

✦ **ლექცია.** ხვალ საზოგადო საკრებულოში (ბირჟის შენობა) ქალთა უმაღლეს კურსების მასწავლებელი სპილიოტი წაიკითხავს რეფერატს რუსულ ენაზე „როსტანი და მისი პიესა „შანტეკლერი“. რეფერატის შემდეგ გაიმართება ლიტერატურული მსჯელობა.

✦ **ქართველ მაჰმადიანის დაპატიმრება.** ამ დღეებში წინამძღვარიანთ კარის სკოლაში დაუპატიმრებიათ და დუშეთის ციხეში გაუგზავნიათ ქართველი მაჰმადიანი ონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან სამეურნეო ცოდნის შესასწავლად ჩამოვიდა.

✦ **დაპატიმრება.** გუშინ წინ პოლიციამ დააპატიმრა ალ. გ. ჯაბადარი და მეტეხის ციხეში გაგზავნა.

✦ **საჩივარი.** ქალაქის გამგეობას რამდენიმე პირმა მეეტლეთა თვითნებობაზე საჩივარით მიმართა, დაწესებულ ნიხრზე ზედ მეტს გვახდევინებენო.

✦ **უპასპორტონი.** 5 მაისს პოლიციელთ და ჯარის კაცებმა ტფილისში უპასპორტონი შეიპყრეს: მეოთხე საპოლიციო უბანში. 14 მერვეში—19, ხოლო მეთორმეტეში—17 კაცი.

ქუთაისი

✦ **შავი-ქვის მრეწველთა კრება.** (2 და 3 მაისს). ეს ორი კრება კიდევ მექანიკური გზების პროექტის განხილვას მოუნდა. საქმე უფრო იმის გამო გაგრძელდა, რომ კრებაზე მოვიდა თ-დი გიორგი წერეთლის კომპანიონი თ-დი იოსებ ანდრონიკაშვილი, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა კრება, რომ რკინის გზა, რომელსაც გააკეთებს თ-დი გიორგი წერეთელი, ყოველის მხრით დააკმაყოფილებს მრეწველთა და მრეწველობის მოთხოვნილებას, თუმცა ამასთანავე დასძინა, რომ რკინის გზის გაყვანის შემდეგ საქმე ისე მოეწყობა, რომ მაღაროებში მოგროვილი მადანი უთუოთ რკინის გზას უნდა ჩაბარდესო.

გაიმართა კამათი, რომელმაც შემდეგ დასკვნამდე მიიყვანა კრება: 1. საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტში აღნიშნულ მადნის საზიდავი გზის ერთმანეთში უპირატესობა მიეცა მეორე ვარიანტს. 2. ხმის უმრავლესობით პერსენაკისა და დრიუნის წინააღმდეგ მრეწველთა საბჭოს მიეცა ნება გზის გაკეთება მისცეს ან კერძო კაცს, რომელიც თავის თავზე მიიღებს ამ საქმეს, ან თითონ გააკეთოს იგი და იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი გარემოება განხორციელდა, საბჭოს ექნება უფლება საქმისათვის საჭირო თანხა ისესხოს, ხოლო ამ თანხის რაოდენობა გამოირკვეს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს. 3. საბჭოს მიენდო 29 ხმით წინააღმდეგ 25 მისგანვე მოწვეულ პირთა და მრეწველთა თანდასწრებით იმის გამორკვევა, თუ რა თანდათანობით გაკეთდეს მექანკური გზები ამა თუ იმ ადგილის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. 4. ხმის უმეტესობით წინააღმდეგ პერსენაკის საბჭოს მიენდო ნამესტნიკის ნებართვის მიღებისათანავე შეუდგეს მეჩნერის გზის კეთებას.

ეს გადაწყვეტილებანი მიიღო კრებამ 3 მაისს და გადასაწყვეტად დარჩა საკითხი იმის შესახებ, თუ რა გადასახადი დაინიშნოს ფუთ მადანზე მეჩნერის მექანიკურ გზაზე, როცა იგი მზათ იქნება. 5 მაისს მცირე კამათის შემდეგ კრებამ დიდის ხმის უმეტესობით ფასის დანიშვნის უფლება მიანიჭა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს... შემდეგ ამისა კრება გადაიდო მეორე დღისათვის, რომ ამ დღეს საფინანსო კომისიამ მოასწროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

პატარა ფელეტონი

ყიყლიყო!

ღამე წყვდიადი იყო.

თეთრის თმა-წვერით შემოსილმა, დიდის ფიქრით და ხანით დაბაბუნებულმა მოხუცმა გადააფარა მწვანე იმედით ნაქსოვი, ოქროს ძაფებით შეკერილი სუდარა საყვარელს, პირმშოს, სანატრელს შვილს, ათასჯერ დაჭრილს, ომით გასაოთებულს და... განშორდა.

განშორდა მოხუცი და დაატირა:

სხვა ვერ გიშოვე რამ კარგი. სჯობს ამ სუდარის ქვეშ იყო, ვინძლო დღე უკეთესი გაგითენდესო.

დაბურულ ტყეში მხოლოდ ეს ადგილი იყო გაკაფული; მკრთალი სხივი მხოლოდ აქ თრთოდა წყვდიადში გაფანტული; ოდნავ სულის ამოთქმა აქ შეიძლებოდა მხოლოდ.

ვინ გაარჩევდა იმ შავ-ბნელ ღამეში, სად იყო ნამდვილი სამკურნალო გაცივებულისა და სისხლ-გაცლილი ადამიანისთვის.

მთვარემ ამოაშუქა და ზედ დაადგა ველზე მიტოვებულს. მოსჩანდა მარტო-ოდენ თეთრი სუდარა. სუდარით დახურული არსება მიმზიდველი ქმნილება უნდა ყოფილიყო, რადგან ბულბული თვითონ დაუჯდა იმავ წამს და ცრემლით დაალბო იქაურობა. მაგრამ რამდენადაც იმღერდა უფრო სასოება და იმედი ეღვიძებოდა და უეცრად შემოსძახა: ნუ გეშინია! კვლავ დატკბება ბუნებით და დაატკბობს ქვეყანას. არ მომკვდარა და არც სძინავს. დასუსტებული სხეული იმ წამს დაიწყებს მოძრაობას, მიდუმებული ბაგენი მეტყველებას, როგორც კი სხივები მზისა გადაჰკრავს თეთრსა სუდარას.

ბულბულნი ასე იმღეროდენ.

ცას ლოყები ჩაეფეთქა. ცას ბინდმა გადაჰკრა. მზის სხივთა მისაღებად მოიწმინდა ცა. ბულბული იმღერდა უკანასკნელს ჰანგებს ქმუნვით შექმნილს და სიხარულით აღზრდილს.

მაგრამ ვაი წინდაუხედაობას! მამალს განთიადის წინამორბედი ყიყლიყო დაავიწყდა. მამალს დავიწყდა რომ ყივილს მხოლოდ მაშინ აქვს სასწაულებრივი ძალა, როცა ზედაპირს მიწისას გადაჩხრეკს, შავს დედამიწას, გულს მიწისას დააბჯენს კლანჭებს და მთელის ძალით, გულ-ღვიძლის უზოგველად, თავისებურის ხმით დასძახებს: ყიყლიყო! მამალი შეცდა—მას სხვისი ჰანგი აღმოხდა ყელიდან.

ცა ისევ მოიღრუბლა. ტევრი უფრო საშიშო და უნდობი გახდა. ღამის ფრთოსანთ მორთეს მხიარული ჟრიამული; ჭილყვავები ისევ დაეშვენენ: თეთრს სუდარის ქვეშ ლეშს ვნახავთ და გავძღებითო.

და ამიტომ ბულბული ეხლაც იმღერის ღამის წყვდიადში: ბუნებავ, არ შეგეშინოს! არ სძინავს და არც მომკვდარა; მხოლოდ ძალას იკრებს დილის სხივთა მისაღებად; თვალწარმტაცი, ქვეყნის მშვენი, ლმობიერი და მალხაზი წამოდგება საიმედოთ და სანუგეშოდ დამაბერალთა; ეხლა მამალი აღარ აცდება გზას: გადაჩხრეკს ზედა-პირს მიწისას, შიგ დედა-მიწის შუა გულში ჩაასობს კლანჭებს და გულ-ღვიძლის დაუზოგველად თავის ხმით, თავის კილოთი დაიძახებს:

ყიყლიყო! **ნ. ლორთქიფანიძე.**

მოწერილი ამბები

დ. ყვირილა. მკითხველთ უეჭველად ეცოდინებათ, რომ საქართველოში საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭოთ აქვთ თავიანთი განყოფილებანი ზოგიერთ მაზრაში. სხვათა შორის ერთი ასეთი განყოფილება გახსნა იმერეთის საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭომ დ. ყვირილაში. დღესაც არსებობს ეს განყოფილება, რომლის თავჯდომარედ და წევრებად სულ სულიერი მამანი არიან. ასე წარმოიდგინეთ ერის კაცი ინტელიგენტი არც ერთი არ არის განყოფილების წევრად, თუმცა დ. ყვირილაში ინტელიგენტი მასწავლებლები საკმაოდ არიან. როგორც ყველგან, ისე აქაც განყოფილების მოვალეობას შეადგენს საეკლესიო სკოლების მართვა-გამგეობა მაზრაში; როგორც მაგალითად: მასწავლებელთა დანიშვნა, სკოლების რევიზია, მიწერ-მოწერა საეპარქიო საბჭოსთან და სათანადო მთავრობასთან, სხვა დაწესებულებებთან სკოლების ბიბლიოთეკებზე ზრუნვა და მასწავლებელთა ჯამაგირების დარიგება. თუმცა აგერ ორ წელიწადზე მეტია, რაც აქაურს განყოფილებას წაერთვა უფლება მასწავლებელთა ჯამაგირების დარიგებისა, იმიტომ რომ აქაურ ძველს განყოფილებას საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭო ბრალს სდებდა ფულების გაფლანგვაში. საკვირველია, ახალ განყოფილებას რადას ერჩიან. ზემო იმერეთის მიყრუებულ სოფლის სკოლის მასწავლებელი იძულებულია იმერეთის საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭოს მიმართოს ქ. ქუთაისში 10—150 მანეთის მისაღებად. ბევრჯელ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საეკლესიო სკოლის მასწავლებელი ჩამოსულა ზემო იმერეთიდან ქ. ქუთაისში ჯამაგირის მისაღებად ორი სამი დღე გაუტარებია ქ. ქუთაისში ჯამაგირის მიღების ლოდინში, შემდეგ აუღია თვიური ჯამაგირი 10 ან 15 მანეთი, ზოგი რესტორანის პატრონისათვის დანახარჯში მიუცია, და ზოგიც, რასაკვირველია, გზაში შემოხარჯვია, ასე რომ სახლში ხელ-ცარიელი მისულა ხოლმე. მასწავლებელი თავს მართლულობს, მაგრამ საჭიროა ამ გარემოებათ მიაქციოს ყურადღება უმაღლესმა საეკლესიო სკოლების მთავრობამ და დაუბრუნოს ისევ ყვირილის განყოფილებას უფლება მასწავლებელთა ჯამაგირების დარიგებისა, რათა აცდინოს ისედაც ხელ მოკლე მასწავლებელს ზედმეტი ხარჯები. ყვირილის სამოსწავლებლო საბჭოს განყოფილებას ბევრგან აქვს სკოლებთან სკოლის ბიბლიოთეკები. მართალი უნდა სთქვას კაცმა, რომ ამ ბიბლიოტეკებში ძნელად შეხვდებით ქართულ წიგნს. სულ რუსული და სლავიანური წიგნებით არის ბიბლიოთეკები სავსე. მაგალითად, ლორეშის ერთკლასიან საეკლესიო სკოლის ბიბლიოტეკაში ერთი ქართული წიგნი არ მოიპოვება. ბევრჯელ მოწაფენი და თვით გლეხებიც მიმართავდნენ ხოლმე ადგილობრივ მასწავლებელს ქართველი წიგნებისთვის და როდესაც მასწავლებლისგან ცივ უარს მიიღებდნენ, დაღონებულნი ბრუნდებოდნენ ხოლმე შინისაკენ. იმერეთის ეპარქიის სამოსწავლებლო საბჭოსა და ყვირილის განყოფილების წევრები უმეტესად ქართველები არიან, მაგრამ მათ იმდენი ეროვნული თავმოყვარეობა არ შესწევთ, რომ იზრუნონ, რათა სკოლებს მოუპოვონ ქართული წიგნები; ჩვენი გამოჩენილ მწერალთა თხზულებანი მაინც. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტი ყვირილის განყოფილების საეკლესიო სკოლების ცხოვრებიდან. 1909 წლის სამოსწავლო წლიდან ზოგიერთ სკოლის მართველმა მღვდელმა გამოუცხადა მასწავლებელთ: „მოწაფეებს სასწავლო ფულს ნუღარ გამოართმევთ ამ სამოსწავლო წლიდან, რადგან 1910 წ. იანვრიდან ერთ-კლასიან სკოლის მასწავლებელს მიეცემა წელიწადში 360 მანეთი“. ალბად ამ სკოლის მართველ მღვდლებს ადგილობრივმა განყოფილებამ დაავალა ასე მოქცეულიყვნენ. მართლაც მასწავლებლებმა წასული წლის სასწავლო ფული არ გამოართვეს მოწაფეთ: ამიტომ ზოგიერთ საეკლესიო სკოლაში მოწაფეთა რიცხვმა იმატა. მაგრამ მოსტყუვდნენ მასწავლებლები. დადგა ეს წელიწადი, მაგრამ ჯამაგირი მასწავლებელთ არ მოუმატეს. როცა დღეს ზოგიერთ მასწავლებელმა მოწაფეთ სასწავლო ფული მოსთხოვა მშობლებმა სხვა და სხვა მიზეზებისა გამოსასწავლო ფულის გადახდა ვერ შესძლეს და ბავშვები გაიყვანეს სკოლიდან. სწორედ ამაზედ იტყვიან: „ჯერ ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრაამს არქმევდნენ“. მოსაზრებაც ასეთი უნდა!....

ლორეშელი კაცი.

სოფ. საყარაულო (თიანეთის მაზრა) აქეთ აღდგომის დღეებში მშვენიერი ამინდები იყო, მაგრამ უზომო სმის წყალობით ბედნიერმა დღემ უმსხვერპლოთ არ ჩაიარა. სოფ. თიანეთში აბრამიშვილმა თავისი ცოლის ძმა ბუჩანკალდური მოჰკლა. მიზეზი მკვლელობისა ისა ყოფილიყო, რომ თურმე აბრამიშვილი სხვასა ჰყვარობდა და თავის ცოლს კი ყურს არ უგდებდა. ცოლის ძმა ბუჩანკალდურს სიძისთვის საყვედური მიეცა: „რათ სხადი აგრე, რატომ შენს ცოლს ყურს არ უგდებთ“. სწყენოდა ცოლის ძმის საყვედური, შეზარხოშებულიყო დახვედროდა გზაში, დაეცა ხანჯალი და მოეკლა; ეს მოხდა აღდგომის მეორე დღეს; მკვლელი თიანეთში არის დაპატიმრებული.

სოფ. არტაანში აღდგომა დღეს სიმთვრალის დროს, ფშაველს თორდუას მოუვიდა ჩხუბი მეზობელთან, რომელმაც დასცა ხანჯალი და მოჰკლა თორდუა; მკვლელი დააპატიმრეს.

აღდგომის სიმხიარულე სოფ. საყარაულოს და მის ახლო-მახლო სოფლებსაც მწუხარებათ შეეცვალათ. ოცდა რვა აპრილს დაახლოვებით თორმეტს საათზე, ცა ერთბაშათ შავი ღრუბლით შეიმოსა, ასტყდა ჭექა-ქუხილი და თან მოჰყვა მსხვილი მხაშუნა წვიმა; წვიმას მოჰყვა, ჯერ წვრილი ხორხოშელა და მერე თხილის თოლა სეტყვა; სეტყვამ თხუთმეტ წამამდე გასტანა, და ველ-მინდორი თეთრად შემოსა; მეორე დღეს შუადღემდე არ გამდნარა. სეტყვამ ძრიელ გაანადგურა ხეხილი, ბოსტნეულობა და მუხლში შესული ყანები. ხალხი თუმცა სწუხან მაგრამ, მაინც ღმერთს მადლობას სწირავენ: „ნეტა ეს გვაკმაროს ღმერთმა, და დარჩენილი მოსავალი მშვიდობით ჩაგვაკლებინოსო“.

ამ ორი თვის წინეთ აქეთ ხმა გავრცელდა და დაბეჯითებით დაპარაკობდენ, რომ სოფ. საყარაულოში სამაზრო სამკურნალო უნდა გაიხსნასო. ამ ამბის მოლოდინში ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ხმა ჯერ-ჯერობით როგორღაც მიჩუმდა. მართლაც სიმართლე უნდა ვსთქვათ, სოფელ საყარაულო სწორედ შესაფერი ადგილია, თიანეთის სამაზრო სამკურნალოსთვის; ყველა მხრით და ყველა სოფლებიდგან თიანეთის მაზრაში გზა ადვილად ხვდება, თუ ფოსტისა და თუ ისე, და ხალხისთვის სადვილოთა ავადმყოფის მიყვანა.

სოფ. საყარაულოს საზოგადოებაში, თიანეთში და მის ახლო-მახლო სოფლებში ყივანახველა არის გავრცელებული. **ქართველი ოხეზში.**

ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილების წევრთა კრება.

პირველ მაისს ბაქოს ქართულ სკოლის შენობაში, თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა კრება. კრებამ დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში და 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. სავარაუდო შემოსავალი უდრის 6051 მან. 9 კაპ., ხოლო სავარაუდო გასავალი 6050 მან.

კრებაზე ზოგიერთმა წევრმა აღძრა საკითხი სასკოლო კომიტეტთან მშობელთა წრის დაარსებაზე რასაც კრება თანაგრძნობით შეხვდა და აირჩია კომისია ინსტრუქციის შესადგენად, როდესაც ინსტრუქციას შეადგენენ განყოფილების გამგეობა ინსტრუქციის განსახილველად მოიწვევს წევრთა საგანგებო კრებას, ინსტრუქციის შესადგენ კომისიაში წევრებად ამოირჩიეს: ვ. ი. ახვლედიანი, მ. ა. ნასიძე და ლ. დ. გრიგოლაშვილი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ზოგიერთ წევრთა მიერ აღძრულმა საკითხმა, სკოლა სხვა შენობაში გადავიტანოთო, დაქირავებული შენობა, რომელიც დაახლოვებით ჯდება ორი ათასი მანეთი, ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. და სხვა შენობა დავიქირაოთო, მაგრამ რადგან ორი ათას მანეთად შესაფერ შენობის შოვნა ძნელია, ამიტომ გამგეობას დაევალა გამონახოს სახსარი და რაც შეიძლება ჩქარა შეიძინოს საკუთარი სახლი. ამას გარდა გამგეობას დაევალა იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, დააჩქაროს განყოფილების თხოვნის განხილვა, რომ წ. კ. საზოგადოებისთვის თავისუფალი ადგილი განყოფილებას უსასყიდლოდ დაეთმოს შენობისათვის. დასასრულ მოისმინეს წინადადება, რომ გამგეობაში 3-დან 5 წევრამდე იყოფის არჩეული. კრებამ მიიღო ეს წინადადება და გამგეობაში აირჩია: ელიაშვილი, ჯორჯიკია, ქებაძე, ნასიძე და ახვლედიანი; კანდიდატებათ: ლანდია, მახარობლიძე, და ავალიანი. სარევიზიო კომისის წევრად აირჩიეს: კალდიშვილი ნემსაძე და გრიგოლაშვილი. (კ. ს.)

მხატვრის მოგონებიდან

კ. ტატმაიერისა.

გორვენის სიკვდილი ერთი ჩემი მწარე მოგონებათაგანია. იგი ისევე მოკვდა როგორც სიცოცხლეში იყო მარტო, ყველასაგან მიგდებული, მივიწყებული, მეტის მეტად უბედური. ჩვენ ორივენი ერთ ღმერთს ვემსახურებოდით—ხელოვნებას. მაგრამ გეფიცებით, ყველა სხვა რამის სამსახური სჯობია ხელოვნების სამსახურს: იგი შიმშილისაგან ნაკლებად უზრუნველ-გყოფს. იქნება მიმითითოდ დიდებაზე. დიდება? სისულელეა დიდება, როცა კუჭი ცარიელი გაქვს.

საუცხოვო პეისაჟებს ხატავდა გორვენი და სანამ იგი მათ ჩაჰკირკიტებდა, ასე თუ ისე ლუკმას სჭამდა; მაგრამ ჩქარა საშინელმა ჭლექმა შეიპყრო იგი და მდგომარეობა შეიცვალა. ეხლა იგი დიდს გაჭირვებას განიცდიდა. ეგდო სარეცელზე მარტო, არა ჰქონდა თბილი საჭმელი, არ გააჩნდა ლუკმა პური.. ყველაფერს ამას ვხედავდით ჩვენ, მაგრამ რას გავაწყობდით როდესაც ჩვენთვისაც არა გვებადა რა...

ყველანი ახალგაზრდები ვიყავით, ვსწავლობდით ერთად აკადემიაში, ნათესავ-მეგობრებს, სამშობლო კერას დაშორებულნი და აბა ვინ რას მოგვაწვდიდა. ასეც რომ არა ყოფილიყო ჩვენ მშობლებს ბევრი საზრუნავი ჰქონდათ სხვა რამ „უფრო საჭიროზე“ ვინემ ხელოვნება, რომელსაც იგინი ნაკლებად აფასებდნენ და რომელსაც ჩვენ ჩვენი „სისულელით“ მოვბლაუჭებოდით...

მალე გაჰქრა, დაცალიერდა გორვენის მთელი საპირფარეშო. თვითონ მე მიმქონდა გასასყიდად ან დასაგირავებლად თვითეული ნივთი, რომელსაც გორვენი ისე აფასებდა, უყვარდა...

ერთხელ, ერთ მშვენიერ მარტის დღეს, სადილის შემდეგ მე შევედი გორვენთან ხერხიანად კარი არც კი შევეღო, რომ ის გიჟივით საწოლიდგან წამოვარდა და სხაპა-სხუპით მითხრა: იცი ვინ იყო ჩემთან—ვინ იყო? შევეკითხე განცვიფრებული. ამასთან შევატყე რომ დიდი სიცხე ჰქონდა, რადგან პირისახეზე ალმური ასდიოდა..

სიკვდილი იყო ჩემთან. ასე დილის თერთმეტ საათზე. მე თვალებ მილულული ვიწექი.. უცებ რაღაცამ ყინულივით დამიარა ტანში... თვალები გავახილე... თმა ყალყზე დამიდგა... წარმოიდგინე, სიკვდილი ჩემ წინ ზედ ჩემ ლოგინზე იჯდა.. იგი სწორედ ისეთივეა, როგორც ხატავენ ხოლმე... ჩონჩხი, თეთრი, გრძელი წამოსასხამით... განვცვიფრდი... შიშის ზარმა ამიტანა... გონება ამერია... მან თვისი გამხმარი ხელი გამოიწოდა და ზედ გულზე დამეყრდნო... აი, ზედ ამ ალაგას... ავეჩოლდი... თითქოს ყინულებში ჩასდესო ისე დამიარა ყინვამ მთელ ტანში... მერმე ყველაფერი გაქრა“...

— ეჰ, ჩემო გორვენ, მოგლანდებია და სხვა არაფერია, ვანუგეშე მე...

— არა, არა, ნამდვილად სიკვდილი იყო, გათავებულია, გათავებული! . ზაფრანასავით გადაყვითლებული მოწყვეტილი ფოთოლივით გადავარდა ბალიშზე. ეჭვი აღარ იყო სიკვდილი სწვევდა, უკანასკნელ დღეში იყო... ცოტა ხანი ორივენი მწარე ფიქრებით შეპყრობილნი ვსდუმდით... მერე მან ისევ დაიწყო ნელის ხმით:

— ნეტავი იცოდე, იქ, ჩრდილოეთში, ჩვენს ახლოს დიდი ტბაა... ნაძვი, თხილნარი, სხვა და სხვა ბუჩქნარი მრავლადაა მის ირგვლივ... იქვე ჩვენი სახლია... ღმერთო ჩემო, რომ იცოდე როგორ მინდა რომ სიკვდილის შემდეგ იქ წამიღებდეთ... დამაკრავდეთ ფიცარზე და ჩამიშვებდეთ ჩემ საყვარელ ტბაში... იმ ტბას ბუზივით დასტრიალებენ პატარა მეთევზეები... მე მინდა მეც დამტრიალებდნენ თავზე... ნუ თუ ეს ძნელია?.. ნუ თუ ძნელია სიკვდილის შემდეგ ჩამაბაროთ იმ ტბას??..

წარმოუდგენელია ის, რაც მე მაშინ ვიგრძნე. აგერ რამდენი ხანია მას უკან, მაგრამ თვითეული მისი სიტყვა ეხლაც მიწივის ყურებში...

კვლავ დავდუმდით.

დუმილი კვლავ გორვენმა დაარღვია. მან ისევ წამოიწია, სისუსტისაგან მიბნედილი თვალი გადაავლო ლოგინს და ნაღვლიანად წაილუღლუღა—ოჰ, რა ჭუჭყიანათა ვარ!.

მართლაც მისი საცვალი, ბალიშის პირი და ზეწარი ნათლად მოწმობდენ რომ დიდი ხნის გამოუცვლელნი იყვნენ.

— მერე მოსამსახურეს ველარ უთხარი გამოეცვალა? შევეკითხე მე.

— შენც მაგას მეუბნები, არც კი გრცხვენიან: შენ თვითონ არ დამეხმარე, რომ ყველაფერი რაც მებადა გამეყიდნა ან დამეგირავებინა??.. მე გარდა იმისა რასაც ხედავ აღარაფერი გამაჩნიარა...

სირცხვილმა დამწვა, გული ყელში მომებჯინა, ცრემლები მომერია ამ სიტყვებზე.. მან ჩაქინდრა თავი და ასე იყო დიდხანს, მერე ისევ დაიწყო:—მაგრამ არა, ცოტა რამ კიდევ მაბადია... იქ სკივრში ერთი ხელი სუფთა საცვალი, ზეწარი და ბალიშის პირია... განგებ დავმალე იქ ისინი შავი დღისთვის.. მართლაცა და უბრალო მათხოვარასავით ხომ არ ვიწვები კუბოში, ძონძებში გახვეული... მართლა არც ისე ღარიბი ვარ როგორც გგონია... სუფთა ლოგინიც მაქვს... სუფთა საცვალიც... ხომ არიან იმისთანები, რომელთაც ესეც არ გააჩნიათ ჰა?.. ასე, ჩემო მეგობარო, როცა მოვკვდე ჩამაცვით ახალი საცვალი და სუფთად დამაწვინეთ... მერე თუ შეიძლება წამიღეთ იქ, ჩრდილოეთში, დამაკარით ფიცარზე და ჩამიშვით ჩემს საყვარელ ტბაში... შემატოვეთ იქ.... იმ ტბას ბუზივით დასტრიალებენ მეთევზეები. მე მინდა მეც დამტრიალებდნენ იგინი თავს...

ვინმე ხანგარიძე.

ფრინველების გამოფენა გორში*)

აპრილის 23,24 და 25 ქ. გორში რუსეთის საიმპერატორო ფრინველთა მოშენების საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ გამართა ფრინველთა გამოფენა.

---

*) ამ წერილის დაბეჭდა დაგვიანდა. რედ.

ეროვნული

ასეთი გამოფენა ეს მეორედ გაიმართა გორში და რადგანაც უკვე თვალსაჩინო შედეგი მოიტანა, ამიტომ ურიგო არ იქმნება გავაცნოთ ჩვენ მკითხველ საზოგადოებას მოკლე ანგარიში წლევანდელი გამოფენისა.

გამოფენის მომწყობნი 22 აპრილს ამოვიდნენ ტფილისიდან. ტფილისიდან ფრინველები მოიყვანეს კაპანაძე—მაკალოვის ზედამხედველობით, რომელსაც როგორც ეტყობა კარგათ შეუსწავლია და შეუყვარებია მეფრინველეობის საქმე. გორელმა ექსპონანტებმა ზოგმა იმ დღესვე სალამოთი ჩაიყვანეს დანიშნულ ადგილას თავიანთი ფრინველი, ზოგმა დილით 9 საათზე. შარშანდელ გამოფენას ამინდიც, დროც ხელს უწყობდა და მაინც გაცილებით საზოგადოება ნაკლებად მიდიოდა გამოფენის დასათვალიერებლად ვიდრე წელს თუმცა ამინდმა ხელი არ შეუწყო. 23 აპრილს საშინელი სეტყვა და წვიმა იყო და თითქმის მთელი დღე დაიკარგა. 24 და 25 ღრუბლიანი ამინდი იყო, მომეტებული ნაწილი დამთვალიერებელთა გორელები იყვნენ, რადგან ახლო მახლო სოფლებს ძალიან ხელს შეუშლიდა ავი დარის მოლოდინი. გამოფენა წელს დაათვალიერა სულ ათასამდე კაცმა. ამათში 188 ინტელიგენტი და შეძლებულები იყვნენ, დანარჩენნი კი მუშები, სოფლის გლეხები და 60 ადგილობრივი სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფე. გლეხებისთვის შაური იყო შესასვლელი ფასი დაწესებული, მაგრამ ბევრი შემთხვევით ჩამოსული გლეხი უფასოდ შეჰყავდათ გამგეებს, რადგან ბევრს ფულიც არა ჰქონდა რომ გამოფენა დაეთვალიერებინა.

სხვა და სხვა ჯიშის ქათმების კვერცხი გაიყიდა სულ 300 ცალი—თითო კვერცხი 25 კ.—40 კ. რუსულ ენაზე დაბეჭდილი წიგნაკები გაიყიდა 25 მ., ფრინველის მომშენებელთათვის საჭირო ხელსაწყო—10 მანეთისა.

23 დილის ცხრა საათიდან ვიდრე საზოგადოება მოგროვდებოდა გამოფენილ ფრინვლის ღირსების დამფასებელი კომისია შეუდგა ფრინველთა დათვალიერება-შემოწმებას. კომისიაში იყვნენ ტფილისის ფრინველთა მოშენების საზოგადოების თავმჯდომ. ა. ი. დრბოგლავი, ხაზინადარი ამავე საზოგადოებისა ეჯუბოვი, წევრი ამავე საზოგადოებისა საგანგებოდ არჩეული კომისიისთვის სოლოვიოვი და უმთავრეს სამიწადმოქმედო მმართველობის მოხელე აგრონომი კამენიცკი.

12 ს. კომისიის თავმჯდომარემ გამოაცხადა დადგენილება, რომლითაც მიესაჯათ: 1) დ. რ. მაჭავარიანს მეგრულა პლიმუტროკებში ვერცხლის მედალი რუსეთის საიმპერატორო ფრინველთა მოშენების საზოგადოებისა; 2) ვ. ენგელმანს ამავე ჯიშის ქათმებში ვერცხლის მედალი სამიწადმოქმედო დაწესებულებისა; 3) კნ. ეკ. ერისთავისას ყვითელ ორპინგტონებში ვერცხლის მედალი სამიწადმოქმედო მმართველობისაგან; 4) ა. ი. იუდენიჩს მინორკებში მოწმობა ვერცხლის მედლის შესაძენათ. რუს. ფრინვ. მოშ. საზოგადოებისა; 5) ა. ი. ტერ-სტეფანოვს მეგრულა პლიმუტროკებში ბრინჯაოს მედალი სამიწ. მოქმ. მმართველობისა; 6) ა. ვ. ვეტცელის ლანგშონის ქათმებში ბრინჯაოს მედალი იმავე მართველობისა; 7) ი. ს. შკინის ამავე ჯიშის ქათმებში ბრინჯაოს მედალი იმავე მმართველობისა; 8) სედელნიკოვს ბრინჯაოს მედალი ამავე ჯიშის ქათმებში იმავე მმართველობისა; 9) გრუენიცს სპარსულ მახხუბარ ქათმებში ბრინჯაოს მედალი რუს. ს. ფრინვ. მოშ. საზოგადოებისა. დაჯილდოვებულ პირთაგან მაჭავარიანი, ენგელმანი, ერისთავისა და ტერ-სტეფანოვი გორის მაზრელები არიან. აქვთ საქათმეები პირველ ორს ქ. გორში, მესამეს ს. კარალეთში, ხოლო უკანასკნელს ს. ხიდისთავში.

ამ რიგათ შარშანდელმა გამოფენამ ის სარგებლობა მოიტანა, რომ ბევრმა გაიჩინა საუკეთესო ჯიშის ქათმები და იმათში რამოდენიმემ ისე კარგათ დააყენა უკვე საქმე, რომ კონკურსზედაც გაიმარჯვა და გამოფენისთვის დანიშნულ ჯილდოთაგან საუკეთესოები მიიღო.

თუ შევადარებთ წლევანდელ გამოფენას შარშანდელთან, აშკარად დავინახამთ, რომ წლევანდელი ძალიან განირჩეოდა შარშანდელისგან. თვალისთვის შარშანდელი უფრო თვალწარმტაცი იყო, რადგან გამოფენილ ფრინვლის მესამედს შეადგენდა, დეკორაციისთვის გამოსადეგი ფრინველი, როგორც ჯიშები: შამოა, სხვა და სხვა ბრამები და კოჩინხები, ჰბენტამკები და სხვ. წელს კი სჭარბობდა უფრო სასარგებლო ჯიშის ფრინველი.—შარშან გამოფენილი იყო რიცხვით სულ 57 ბუდე სხვა და სხვა ფრინველი და შვიდი სხვა და სხვა ნაირი ხელსაწყო და იარაღი ფრინველთა მომშენებელთათვის. წელს 58 ბუდე ფრინველისა და შვიდივე ხელსაწყო და იარაღი. ამრიგათ რიცხვი ბუდეთა ერთი და იგივე იყო, მაგრამ შედგენილობა კი სულ სხვა. შარშანდელ დეკორატიულ 15 ბუდის მაგიერ წელს მარტო ოთხ ნაირი იყო. პირველი ადგილი წელს სასარგებლო ქათმებს ეჭირათ. ეს ქათმები კვერცხებსაც ბლომათ სდებენ და ხორცსაც ბევრს და კარგს იძლევიან. წელიწადში 120 — 1[illegible]0 კვერცხსა სდებს თითო ქათამი და წონითაც დედალი 7—9 გირვანქამდე იწონის, ხოლო მამალი 9—12 გირვანქამდე, ხშირად 14 გირვანქასაც იწონის. ამ გვარ ჯიშებიდგან გამოფენილი იყო: მეგრულა პლიმუტროკები, შავი ლანგშანები, ვიონდოტები და ორპინგტონები. ეს ჯიშები ერთი ერთმანეთს მეტად წააგავან, მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ ზოგს ყვითელი ხორცი აქვს მაგ. პლიმუტროკებს და ზოგს, ლანგშანებს, თეთრი. ზოგი ამათგანი ზამთარში უფრო სდებს კვერცხს, როგ. მაგ. ვიონდოტები*). პლიმუტროკების კვერცხი უფრო მოზსხო და სქელ ნაჭუჭიანია ვიდრე ლანგშანისა. ვიონდოტების კვერცხი კი ძალიან მომცრო არის.

მეორე ადგილი ეჭირათ სახორცე ჯიშის ქათმებს. ეს ქათმები პირველებთან შედარებით კვერცხებს ცოტასა სდებენ მაგრამ წონით კარგად იწონიან. დედალი 6—7 გ. მამალი 12 გირვანქამდე. უპირატესობა კი იმაში გამოიხატება რომ ამათი წიწილები ძლიერ ჩქარა იზრდებიან. ისე რომ რაკი ამ მეორე თვეში გადადგება წიწილა ჩვენებურ ვარიას სჯობია და სამი თვისა ჩვენებურ უბრალო დედალს. ასეთი ჯიშების მოშენება იმათთვის უფრო სასარგებლოა ვინც ფრინველს აშენებს იმისთვის რომ დაკლული გაიტანოს ბაზარზე გასასყიდათ. ოთხი თვის ამ ჯიშის ვარიები კარგათ ნაჭმევი იმდენათ არიან დაზრდილები, რომ შემდეგ შესამჩნევს არას მოიმატებენ და მაშასადამე მომშენებლისთვის სასარგებლოა მალე გაიტანოს ბაზარზე და ნაკლები საჭმელი დაჰხარჯოს.

მესამე ადგილი ეჭირათ კვერცხის მდებელ ქათმებს. უნდა მართალი სთქვას კაცმა, რომ არც შარშან და არც წელს არ იყო დამაკმაყოფილებელი ეს განყოფილება. ჯიშები, რომლებიც გამოფენილი იყვნენ—იტალიანკები და შავი მინორკები საქვეყნოდ არიან ნაქებნი როგორც კვერცხის მდებელნი, მაგრამ თვით გამოფენილი ბუდეები ვერ იყო სანაქებო. საჭირო კი არის და აუცილებელიც რომ ამ ჯიშებს დიდი ყურადღება მიაქციონ ფრინველის მომშენებლებმა, რადგან კვერცხი ჩვენში კარგად ფასობს, დიდი ბაზარიც აქვს. ერთი დიდი ნაკლი აქვს ამ ჯიშის ქათამს: შედარებით პატარა ტანზე და აგრეთივე კოხტა თავზე, ისეთი ბიბილო ადევს, რომ თითქმის გირვანქას აიწონს. ჯერ ერთი ყინვაში უსკდება და ძლიერ წვალობს, მეორე, მამლებს ძლიერ უშლის ხელს ასეთი ბიბილო წყლის სმისა და საჭმლის კენკის დროს. ამ ჯიშის ქათმებს ბიბილოები რომ წაეკვეცოთ ხოლმე პატარობისას იმდენად აღარ გაეზრდებათ და აღარ შეაწუხებთ. ან კიდევ უნდა ვეცადოთ პატარა ბიბილოიან მამლებისა და დედლების არჩევით და იმათ ჩამომავლობის შენახვით თან და თან დაუპატარავოთ,—რასაც დიდი ხნის მეცადინეობა დასჭირდება. ერთმა გამოცდილმა ფრინველის მომშენებელმა სთქვა—ინგლისელებმა გამოფენებისთვის განგებ მოაშენეს ამგვარი დიდი ბიბილოიანი შავი მინორკები, რადგან იქ ძლიერ მოსწონთ დიდ ბიბილოიანი ქათმებიო.

შეიძლება, მართლა ბუნებით არა ჰქონდეთ ამ ჯიშებს ასეთი დიდი ბიბილოები და რადგან ჩვენში და რუსეთშიაც გამოფენების შემწეობით გაიჩინეს ეს ჯიშები, გაუმჯობესებული ბიბილოებიც თან გამოაყოლეს.

გამოფენილ ბატებს წელს არაფერი მომატებიათ. ისევ ის ერთი ბუდე იყო რაც შარშან. აგრეთვე იხვები. არ იყო არც ერთი ბუდე ინდოურებისა, რაც მეტად სამწუხაროა. ჩვენში ინდოურების მოშენებას ძალიან მისდევენ სოფლებში, ამიტომ ინდოურების ჯიშების გაუმჯობესება მეტად ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეთა კეთილდღეობას, რადგან ინდოურს საზოგადოთ დიდი გასავალი აქვს.

დიდი მადლობის ღირსნი არიან თავმჯდომარე დრბოგლავი და ხაზინადარი ეჯუბოვი, რომლებიც შესანიშნავი სიყვარულითა და ენერგიით ეკიდებიან ფრინველთა მოშენების საქმეს და წევრი ფრინვლის მომშენებელ საზოგადოებისა გორის მაზრის წინამძღოლი თ-დი ნ. ა. თუმანიშვილი. ამის მეცადინეობითა და შემწეობით აგერ ორჯელ გაიმართა გამოფენა, რამაც ეხლავე შესამჩნევი ნაყოფი გამოიღო და შემდეგში ეჭვს გარეშეა დიდი წარმატება მოელის მთელ მაზრას შინაურ ფრინველის მოშენების საქმეში.

ეჭვს გარეშეა, რომ ფრინვლის მოშენების კარგათ მოწყობას გორის მაზრაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან მთელ მაზრისთვის. ტფილისის სიახლოვე, როგორც ერთი საუკეთესო ბაზრისა, საუცხოვო ჰავა, სუფთა წყლები, ადგილის სიფართოვე და საჭმლის შედარებით სხვა მაზრებთან სიიაფე. ყველა ეს საუკეთესო თავდებია იმისა, რომ მეფრინველეობის საქმე კარგად წავა. გამოფენები კვლავაც უნდა გაიმართოს ქ. გორში. ამის გარდა საჭირო არის ისეთ დიდ სოფლებში, როგორც სურამი, ქარელი, ახალქალაქი, ქვემო ჭალა, მეჯვრისხევი, ხელთუბანი, ტყვიავი, ცხინვალია და სხვა, დრო-გამოშვებით მაინც გამოიფინოს ხოლმე საუკეთესო ჯიშის ქათმები. ამისთანა გამოფენებზე გამოცდილმა მომშენებელმა კარგათ უნდა აუხსნას ხალხს ფრინვლის მოვლა-მოშენება და მნიშვნელობა ფრინვლის გაუმჯობესობისა. პატარ-პატარა წიგნაკები უეჭველად უნდა იყვეს დაბეჭდილი ქართულად,—წელს კი ამგვარი წიგნაკები სრულებით არა სჩანდა გასასყიდად გამოფენაზე. უნდა ეთხოვოს ყველა ექსპონანტებს იაფად დაუთმონ კვერცხები სოფლელებს, თორემ ისეთი ფასები როგორც წელს იყო ხელმისაწვდომი არ არის გლეხებისთვის. შესასვლელი ფასი გამოფენაზე, როდესაც სოფლად გაიმართება გამოფენა, სულ არ უნდა დაწესდეს. გორშიაც აბაზის მაგიერ ორი შაური უნდა იყოს შესასვლელი ფასი.

როდესაც გორში იმართება გამოფენა გამგენი უნდა ეცადნენ უკეთესი შენობა მონახონ შუა ქალაქში, თორემ ქალაქ გარეთ მოთავსებული საკრებულოს საზაფხულო შენობა, სამწუხაროდ, შორს მიაჩნიათ და თუ მეტად მოწადინებული არ არის მნახველი,—ბევრს სიშორისა გამო ეზარება კიდეც გამოფენის დათვალიერება. Z

---

*) ეს ცნობა კერძო დაკვირვებიდგან არის შეძენილი და შეიძლება შემთხვევითი იყვეს.

მოძრაობა ალბანიაში

ახალი მთავარ სარდალი

როგორც გწერდით საომხედრო მინისტრი მახმუდ-შევკეთ-ფაშა მთავარ სარდლათ დაინიშნა. მთელი ოსმალეთის ჯარი, რომელიც ალბანიაშია და მოძრაობის ჩასაქრობად მოქმედობს შევკეთ-ფაშას დაექვემდებარება. ფიქრობენ, რომ მთავარ-სარდალის დანიშვნა იმის მაჩვენებელია, რომ მოძრაობა ალბანიაში თანდათან ძლიერდება და მთავრობა სერიოზულად არის ამაზე შეფიქრიანებული. თვით მახმუდ-შევკეთ ფაშა უცნაურ გენერალია და იმედი აქვთ საჭირო ზომებს მიიღებს ალბანელების ასალაგმად მთავარ სარდლის სადგომი ადგილი უსკიუბი იქნება.

ოსმალეთი ჯარს დაუჭერია ცრნადევის ხეობა, ალბანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ბევრი დაჭრილი და მოკლული დასტოვეს ბრძოლის ველზე, მაგრამ მაინც წესიერად დაიხიეს უკან. ოსმალეთის ჯარიც ძლიერ დაქანცულია. ოსმალეთიდან მოსული ახალი ჯარიც მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ჯარის კაცები დაკლეჯილ დახეულ ტანისამოსში არიან და სწივიან საჭმელი არა გვაქვსო.

მოძრაობა მეტად ფართოვდება და სულ ახალ-ახალ ადგილებს ედება. მონასტირის ვილაიეთის ჩრდილოეთ ნაწილში სულ აჯანყებულმა ალბანელებმა რამდენიმე რაზმი შეადგინეს. დიბრის მაღლეთის მცხოვრები ალბანელები შეუერთდნენ დიაკოვოში მომქმედ ალბანელებს ოსმალეთის მთავრობა საგონებელს მიეცა, რომ ალბანელების დაქსაქსულ გაფანტულს რაზმებს ხელი შეუშალოს და შეერთების საშუალება არ მისცეს. ოსმალეთიდან დიბრაში ბატალიონი გაგზავნეს.

იანინის ვილაიეთში მთავრობის ემისარები იყვნენ გაგზავნილები ხარჯის ასაკრებად. ალბანელებმა დაიჭირეს და განუცხადეს, შეატყობინეთ თქვენს მთავრობას, რომ ალბანელებს შესწევთ ძალა გაუმკლავდნენ ოსმალეთის ჯარს, გადასახადებს არაფრის გულისთვის არ გადაიხდითო.

თეატრი და ხელოვნება

ლიტერატურული სალამო. როგორც შევიტყეთ, კიტა აბაშიძე დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ველარ მიიღებს მონაწილეობას გრიგოლ რობაქიძის სალამოში, სამაგიეროდ გრ. რობაქიძე გაფართოვებულად წაიკითხავს შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ.

—

სახალხო სახლი ძმათა ზუბალაშვილებისა. ოთხშაბათს, 5 მაისს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნა დ. ერისთავის ცნობილი ისტორიული პიესა: „სამშობლო“. მიუხედავად იმისა, რომ ადგილების ფასი ერთი ორად მომატებული იყო, ხალხი მაინც აუარებელი მიაწყდა თეატრის კარებს და ბევრი უბილეთობისა გამო უკან დაბრუნდა. საერთოდ წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. ქ-ნი ჩიქოვანი ქეთევანის როლში სუსტობდა; მან ნათლად ვერ გადმოგვცა თვალთმაქცის,* მაგრამ იმავ დროს მოსიყვარულე გულის ადამიანი. შეუფერებელი როლი ჰქონდა ბ-ნ ალაზნის-პირელს (შაჰი): ხმა ჩახლეჩილი და სწორედ საცოდავი შესახედავი იყო არა უშავდა რა კ. ჰელიძეს (ლეონიძე) თუმცა გასაკვირალი იყო, რომ პირველ მოქმედებაში ქამარ-ხანჯლით გამოვიდა. ჩვენ ძრიელ მოგვეწონა დ. მჭალობლიშვილი (ხიმშიაშვილი) კარგი იყო განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. დანარჩენი პატარა როლის ამსრულებელნი სუსტობდნენ. გრიმი და ტანისამოსი თითქმის ყველას შეუფერებელი ჰქონდა. საყვედურის ღირსია რეჟისორი, რომ ზოგი ერთი სტატისტები ახალ მოდის „ტუფლე“ით“ და „დიაგანალის“ შარვლებით გამოუშვა.

გრი-გრი.

უცხოეთი

ჩინეთი და რუსეთი.

„ბერლინ. ტაგებ.“ ხარბინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ მანჯურიაში თან და თან ძლიერდება გერმანიის გავლენა და ვაჭრობა. ჩინელებს ძლიერ მოსწონთ გერმანელები, თაყვანსა სცემენ იმათ კულტურას და ქედს იხრიან მათ კეთილსინიდისიერების წინაშე. სამაგიეროდ, რუსეთის გავლენა მეტად დაეცა. რუსეთის პრესტიჟის დაცემა მეტად თვალსაჩინოა იმ ადგილებში, რომლებიც რუსეთის გავლენის ქვეშ იყვნენ.

კრიტის საკითხი.

„ერთობისა და თავისუფლების“ სალონიკის კომიტეტს განზრახვა აქვს მიტინგები გამართოს და გამკიცხოს კრიტელები, რომლებმაც ფიცი მისცეს საბერძნეთის მეფეს. მიტინგებზე გამოტანილ რეზოლუციებს სახელმწიფოებს დაუგზავნიან. ოსმალეთის სხვა ადგილებშიც მეტად აღშფოთებულნი არიან კრიტის საქციელით.

რუსეთის დიპლომატიურ წრეებში დიდი ლაპარაკია კრიტის საკითხზე. ფიქრობენ საკითხი გართულდება, რადგან სტამბოლში მეტად დიდი უკმაყოფილობით მიეგებნენ კრიტელების საქციელსაო. ამასთან რუსის დიპლომატებს უთქვამთ, გემები იმიტომ გაიგზავნა კრიტის სანაპიროებში, რომ ოსმალეთმა ვეღარ მოახერხოს კუნძულზე ჯარის გადასხმა და ამასთან თვით კრიტელებსაც ჩააგონონ სახელმწიფოებმა, რომ ოსმალეთს უფლება აქვს კრიტი თავის სახელმწიფოს ნაწილად ჩასთვალოს.

შიმშილი თეირანში.

გაზეთების ცნობით თეირანში ამ ჟამად მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან პურის უქონლობის გამო. ქალაქში დიდძალი დამშეული ხალხია. პოლიცია ცნობებსა ჰკრებს და იკვლევს რამდენია დამშეული და რამდენს ესაჭიროება პური. ყველა ოჯახს ეძლევა ბარათი პურის გამოსატანად. ქალაქის მეპურეები ყველას ვერ აკმაყოფილებენ. პურის მაღაზიების წინ დიდძალი ხალხი გროვდება და ერთი ერთმანეთს ჰგლეჯენ ხელიდან მიღებულ პურს. მთავრობას ცნობები შეუკრებია და აღმოჩენილა, რომ კერძო პირებს ბლომად აქვთ შენახული ხორბალი და ფქვილი, მაგრამ მალავენ. პურის პატრონებმა, იმის შიშით, რომ მთავრობამ ძალით არ ჩამოართვას მათ ქონება უცხოეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა მიიღეს. ამავე დროს შესამჩნევი სიიაფეა, ცხვრის ხორცისა. ბატკნებს ბლომად ხოცავენ, ტყავს დიდი გასავალი აქვს საზღვარ-გარეთ, ხორცი თითქმის ჩალის ფასად იყიდება.

თეირანიდან კვლავ იტყობინებიან, რომ თუ პური არ შემოიტანეს საიდანმე და მდგომარეობა რამდენიმე ხანს ასეთივე დარჩა, ხალხი მეტად დიდ გაჭირვებაში ჩავარდება და შეიძლება არეულობა მოხდეს.

ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ შემოსწირეს:

იარალოვმა 1 შლიაპა, ზედგინიძემ 1 კუკლა 4 წ. ფელჩატკი, 3 ც. მაზა, ბაღდასაროვმა 3 გალსტუკი, ამირაგოვმა ნაჭერი ხავერდისა, არუთინოვმა ოქროს ბეჭედი, ან.. საყურები, სტეფანოვმა ნივთები, ავეტისოვმა კუკლა, სააკოვმა 2 შანდალი, კობელაშვილმა 1 ც. ყანწი. ხელიევმა რამდენიმე ნივთი, შახშაევმა დოქი, ქაზარემა 1 შარფი, მელიქიანცმა შლიაპა, სარქისოვმა 1 წ. ქალამანი, აიზებერგმა 1 ბროშკა და ბრელოკი, მიქელაძემ და ბერიძემ 6 დ. ლილი, ბერიაშვილმა 1 შლიაპა, ნერსესოვმა 1 წ. ყმაწვილის ფეხსაცმელი, ბეჟანოვმა 2 ქინძისთავი, ნარიბოვმა 3 დ. ლილი, ნავთიკოვმა 2 შლიაპა, მ. აბაშიძეს 4 არ. კისაია, ყაზაროვმა 1 ც. შლიაპა. კიკნაძემ შლიაპა, კავალოვმა სანტიმენტრი. ტ.-ოგანეზოვმა 1 კარსეთი, 1 შარფი, 1 დ. საყელო, მადალდაძემ ქამრისთვის გრეხილი, მინასიანცმა 2 ც. ცხვირსახოცი, დავიდოვმა 1 ბანკა მაზი, გალუსტოვმა აბადოჩკა, სტეფანოვმა 1 სარკე, შოშიევმა კარსეთი, ტერ გრიქუროვმა 2 წ. ჩულქი, კონდახჩიევმა 1 პორტმანე, გველისიანმა 2 გალუსტუხი, ყაზაროვმა 1 კალუსტუხი, ამ. „პრიკაშჩიკებისამ“ 3 ნაჭ. ჩითი, გუკასოვმა 2 არ. სარფინკა, ლოზიევმა ერთი ნაჭერი ვიჩინა, ლებედევმა ლეიკა წყლისა, ტოროსიანცმა 1 ნაჭერი საპონი, მაჭავარიანმა ყვავილის ჭურჭელი, ნესტროევმა რამდენიმე ნივთი, ენფიაჯიანცმა 3 ც. რკინის ნივთი, კამანდიროვმა რამდენიმე ნივთი. გალუმოვმა ტანისამოსის საკიდი, ავეტისოვმა რამდენიმე ნივთი, გევორკოვმა სხვა და სხვა ნივთი, ან... ოთხი კოლოფი ნივთები, კნ. ნ. აბხაზისამ 1 ვაზა, კნ. თ. ანდრონიკაშვილმა სტაქნის დასადგამი და ვაზა, ლ. თელაშვილმა 2 საფულე, 2 კვერცხი, კარანდაშები, გალსტუკის შესაკრავი, და კალათა. კუციევმა სხვა და სხვა ნივთი, კასაბოვმა 2 კუკლა, დოვლათბეკოვმა საყურები, მაისურაძემ და ხასნაძემ სხვა და სხვა ნივთი, ტერ-ხაჩატუროვმა ძეწკვი, არუტინოვმა 2 ვერცხლის ბრელოკი, არუტინოვმა ვერცხლის საყურე, ანდრონიკოვმა სხვა და სხვა ნივთი, ს. ვართაზაროვმა 1 ქუდი, ჯიქიამ ვერცხლის მედელიონი, ტერ-აკოფოვმა 2 საყურე, პუგინოვმა და ალიხანოვმა 5 ბეჭედი, 10 ბროშკა და სარკე, მალხაზოვმა ვერცხლის ბროშკა, პიტნავამ ქუდი სტეფანოვმა რამდენიმე ნივთი, მარტიროსოვმა რამდენიმე ნივთი, გ. კაცმა რამდენიმე ნივთი, უსააკოვმა მაზი, მირმა პაპიროსები მირზაბეკოვმა სიგ. რამდენიმე ქირასელმა სხვა და სხვა მატერია, ასტვაცატუროვმა რამდენიმე ნივთი ნაზარბეგოვმა რამდენიმე ნივთი, ალშენგმა,—ენფიაჯიანცმა პაპიროსები, ბოზოჯიანცმა პაპიროსები, სუზანჯიანც ნოტები, კაფიევმა 4 არ. მატერია, გველესიანმა და ჩავჭანიძემ 5 ქამარი, 2 რედიკული, 2 კასინკა, 1 მანჟეტი, ც. ვარტანოვი 6 მანჟეტი, არუთინოვმა 1 დ. ცხვირსახოცი, შიშიევმა ხელსახოცები, კანდელაკმა 1 ნ. საპონი, საკოვმა ლილები, ონიკაძემ სარკე, სარქისოვმა 1 დ. საპონი, ტერ-პეტროვმა 1 დ. საპონი. სუნდუკიანცმა შაქარი, მარქაროვმა ოჟერელიე, ძმ. მაგაკოვებმა 1 დ. საპონი, ალავერდოვმა ხელსახოცები, უსეინ გოდოკიევმა ხელსახოცი, მამედ-ზადემ მელანი, კავალოვმა 1/2 დ. საპონი, [illegible]შვილმა, ქუდი, ლ. და ა. ქავაროვებმა 4 არ. პარუსინა, სეიდ-უსეინოვმა კანფეტი, კალაევმა სტაქნის დასადგმელი, ძეგველოვმა რამდენიმე ცალი კონსერვი, ძმ. ჯავახოვებმა სხვა და სხვა რამ, ნ. ჭრელაშვილმა და ვარსიმაშვილმა 1/2 საჟ. შეშა, ან. ჯაფარიძემ ნაკერი ბალიში, ი. ქიმერიძემ ათი შაური, ბრიტკევიჩმა, ორი საფერფლე, 3 ტუალეტის მოწყობილობა და ფინჯანი, ს. ჭრელაშვილმა კალათა და საფერფლე.

განცხადებანი



ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ
საოცრად გავრცელდა
ფეხსაცმლების კრემი „ბრისტოლი“, ამის გამო ბევრ სიყალბეს სჩადიან.
ყურადღება!
ნამდვილია მხოლოდ № 4870
ალბერტ ზაქსი
კანტორა: СПБ. Англ. пр. 46
ტელეფ. 321—07. მაღაზია: ყაზანისა 6. ტელეფ. 264—92.
(10—6.—4)
(Метцль и К. N 42944.)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1 1/2 ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1 1/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9 1/2—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 6—6 1/2 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
თ. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 1/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მცხეთაში
რკინის გზის სადგურის პირ-და-პირ
იყიდება
ბელსკის აგარაკი.
აგარაკი მშვენივრად არის მოწყობილი, შესდგება 6 ოთახისაგან და უჭირავს 360 ოთხ-კუთხი საჟენი. აგარაკთან მშვენიერი წყაროა, მოწყობილია მოსამსახურეთა ოთახებით. აგარაკი გაიყიდება 4000 მანეთად. აგარაკი შეიძლება ზაფხულშიაც გაქირავდეს 125 მანეთად, აგრეთვე შეიძლება აგარაკის დიდი ხნით იჯარით გაცემაც. საქმის გასაგებად მიმართეთ გოლოვინის პროსპექტი, N 19, მაიზელხონის მაღაზია. (2—1055—1)

◀ ბუხჰალტერიის კურსები ▶
ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო
ივანე ზაქარიას ძე
ტერ-სტეფანოვისა,
გაიხსნება 1 ივნისიდან.
მიხეილის პროსპექტი, სახლი N 16—18.
(3—გაყ.—1)

მთავრობის საქველ-მოქმედო ალეგრი.
1910 წ. განმავლობაში 5 ტირაჟი კიდევ. ყოველ ტირაჟში უმთავრესი მოგება 1,000,000. დაწვრილ. ცნობები უფასოდ იგზავნება: БЕРНАРЪ и К°., Парижъ, Севастополь бульв., 30. წერა და ადრესი რუსულად შეიძლება.
წერილის გაგზავნა საზღვარ გარედ ღირს ღია ბარათი—4 კ., დაბეჭდილი წერილი—10 კაპ.
(Метцль и К° N 29201). (4—6.—2)

კომერციულ სასწავლებელში
კომერციულ განათლების გამავრცელებელ საზოგადოებისა ტფილისში.
მისაღები ეგზამენები
მოსამზადებელ (დაბალ, საშუალო და უფროს) I და II კლასებში მოხდება **26 მაისიდან 3 ივნისამდე.** თხოვნასთან ერთად დოკუმენტებითურთ უნდა წარდგენილ იქნას 15 მანეთი სწავლის ფულის ანგარიშში. ვინც ეგზამენს ვერ დაიჭერს, ფული უკანვე დაუბრუნდება.
მიხეილის პროსპ. სახ. № 16—18. (3—გაყ.—1)

სტამბა „გუტენბერგი“, ოლღას და სლეპცოვის ქ. კუთხ., № 1.
რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.